27-ზე მეტი

პოლკოვნიკი ტვარდოვსკი, ერთი უგუნებო კაცი იყო. განკარგულებასაც ისე ცალყბად იძლეოდა, შესრულება არ მოგინდებოდა. მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო, მისი ბრძანებებისთვის თავის არიდება არც არავის უცდია. ხოლო ვინც სცადა, მასე მერე ცხოვრებაში მაინცდამაინც ბევრი არაფრის მცდელობა ჰქონია.

სიმკაცრე, დაუნდობლობა, გავარვარებული შანთი, ყულფი და ტაბურეტი - ეს ის სიტყვებია, რომლებიც დედამიწის ზურგზე, არავისთან ასოცირდებოდა ისე, როგორც პოლკოვნიკ ტვარდოვსკისთან.

ტვარდოვსკი დიდ ხანს ატარებდა პოლკოვნიკის წოდებას. ბოლოს მობეზრდა და მისი ზემდგომი ყველა მოხელე იმ ქვეყნად გაისტუმრა. პოლკოვნიკის წოდებასა და მუნდირს კი იმდენად შეჩვეოდა, რომ აღარც ერთი გამოუცვლია და აღარც მეორე. პოლკოვნიკ ტვარდოვსკის გამოწვევები უყვარდა. მისთვის კი გამოწვევა, მეზობელი ქვეყნის აოხრება, სოფლის დაჩაჩანაკება, ან უბრალოდ მოკავშირე ერებთან ხელშეკრულების დარღვევა და მათი აბუჩად აგდება იყო. მას თავი ყოვლისშემძლედ მიაჩნდა. განდიდების მანიით შეპყრობილი, ფიქრობდა, რომ მისი დარი ქვეყნად არავინ იყო. ალბათ ღმერთსაც კი გამოიწვევდა ხელჩართულ ბრძოლაში, უბრალოდ მისი არასდროს სწამდა.

* * *

მე ერთი უნიათო, ზარმაცი, სხვების თქმით მახინჯი, ხოლო ჩემი აზრით, ზომიერად სიმპათიური ახალგაზრდა გახლდით. იმ ქვეყანაში, სადაც მე ვცხოვრობდი, ყველა ერთმანეთს ჰგავდა. აბსოლუტურად ერთნაირები იყვნენ. მეც ალბათ იმიტომ არ ვეხატებოდი მათ გულზე, რომ გარეგნულად განსხვავებული ვიყავი.

უპატრონოდ გაზრდილს, ერთადერთი მიზანი მქონდა - დილით ცოტა ფული მეშოვნა, რათა საღამოს გემოზე გამოვმთვრალიყავი. პოლკოვნიკი ტვარდოვსკის სახელი ყველგან, ისევე როგორც ჩვენთან, შიშის ზარს ყოველდღე სცემდა.

არ ვიცი როგორ მოხდა, მაგრამ პოლკოვნიკი ტვარდოვსკისთვის ჩვენ კერკეტი კაკალი აღმოვჩნდით. 25 წელზე მეტი გვებრძოდა და გვაწიოკებდა. თუმცა ქვეყანას ბოლომდე ვერ ან არ დაპატრონებოდა. შემოვარდებოდა მისი ჯარი, ააწიოკებდნენ ქვეყნის ერთ მხარეს, გადაწვავდნენ სახლებს, გააუპატიურებდნენ ქალებს, არც კაცებს დაიწუნებდნენ. მერე კი, წავიდოდნენ და სხვა მხრიდან აკეთებდნენ იმავეს.

ეს ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ ჯერ კიდევ ჩემს დაბადებამდე, საქმიანი ვიზიტით ჩამოსული ტვარდოვსკი, ერთი წლის შემდეგ უკან მობრუნდა. თუმცა მეორე ჯერზე უკვე ამალით. მას მერე, აგერ უკვე 25 წელზე მეტია, გრძელდება მისი უმიზეზო რისხვა. არც არავინ იცის როდის ამოიყრის ბოლომდე ამ უსაფუძვლო ჯავრს.

ჩემთვის ტვარდოვსკის არსებობას დიდი მნიშვნელობა არც ჰქონია. ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ მის მრისხანებას უშუალოდ ჩემი ბეჭებით არ შევიგრძნობდი. იმის გარდა, რომ

სპირტიანი სასმელების გამოუსწორებელი მოტრფიალე ვიყავი, იყო კიდევ ვიღაც, ვისაც სხეულის ყველა ნაწილით შევტრფოდი. მისი დანახვისას, სადღაც სასის მიდამოებში, ტკბილსა და მოთბო გემოს ვგრძნობდი. ხოლო ყოველი შეხებისას ეს გემო მძაფრდებოდა და სულს მიხუთავდა. ჩემი მრავალი მცდელობის მიუხედავად, ვერა და ვერ მოვიგე ვერას ვერც გული და სხვაც ბევრი ვერაფერი.

დიახ, ვერა ქალის სახელია და ისიც, გარეგნულად ისე განსხვავდება სხვებისგან, როგორც მე. ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, ჩვენი სულიერ-ფიზიკური შერწყმა მოხდებოდა. ამის საშუალებას კი მისი მოკრძალებული ღიმილი და მოშიშვლებული მკერდი მაძლევდა. მე და ვერა ერთად დავსეირნობდით, ვსაუბრობდით უინტერესო თემებზე, მივირთმევდით მის მიერ მომზადებულ კერძებს და თან ორივემ ვიცოდით, რომ ერთმანეთს იქით გზა არ გვქონდა. მოკლედ, ყველაფერი დროის ამბავი იყო.

ვერა მაშინ უფრო ძვირფასი და სასურველი გახდა ჩემთვის, რაც პოლკოვნიკი ტვარდოვსკის შეუბრალებელ ხელში აღმოვჩნდი. ეს სრულიად მოულოდნელად, შუაღამისას მოხდა. არხეინად მეძინა ერთ-ერთი საროსკიპოს კომფორტულ კიბეზე. თავიდან, უეცრად მოვარდნილი ხმაური და მტვერი, წინა ღამით მირთმეულ ალკოჰოლს დავაბრალე. მაგრამ, როცა ვიღაც უცნაურმა კაცმა, თავში უბოდიშოდ მითავაზა მოზრდილი კეტი, მივხვდი, რომ პოლკოვნიკი ტვარდოვსკი უფრო ახლოს გავიცანი. აქამდე თუ არაფრად ვაგდებდი ტვარდოვსკის შემოტევას, ახლა ერთიანად განვიცადე ყველა იმ ადამიანის ტკივილი, ვინც მასთან ბრძოლაში დაიღუპა. ამ ყველაფერში კი, ტვარდოვსკის სამი ახმახი ჯარისკაცი მეხმარებოდა, რომლებიც საუცხოო სინქრონით მიბეგვავდნენ გვერდებს.

რომ გამოვფხიზლდი, ერთ დიდ და ნესტიან საკანში ვიყავი გამოჭიმული. თავზე ათამდე, სრულიად სხვადასხვანაირი პიროვნება მედგა და მორცხვად მიღიმოდნენ. მერე ერთმა, თვალის დახამხამებაში გამისინჯა ხელ-ფეხი და ტანი. ცოტა ხანს საკუთარ აზრებში იმერყევა და ბოლოს დანარჩენებს თვალით ანიშნა ჩემზე. მათაც მოქნილი მოძრაობებით შემიბრუნეს ძილი.

ასე გაგრძელდა კიდევ დიდ ხანს. ყოველდღე მცემდნენ, ზურგს მათრახით მიჭრელებდნენ, კოჭებსა და წვივეში მონდომებით მირტყამდნენ. ასევე მაძალებდნენ სრულიად უსარგებლო სამუშაოს კეთებას. არ მაძლევდნენ დაძინების საშუალებას. მოკლედ ზრუნავდნენ ჩემზე. ამ არაადამიანური წამებისას, ერთადერთი, რაც წარსულიდან ხელჩასაჭიდი მქონდა, ეს ვერა იყო. ყოველ წამსა და წუთს მასზე ვფიქრობდი. პირველივე დარტყმისას, ჩემდაუნებურად მასზე ვიწყებდი ფიქრს. დაჩაგრული ბავშვივით მასთან გავრბოდი. იმ სამადლოდ გამეტებული ძილის საათებშიც ვერას თეთრი კბილები, აბზეკილი მკერდი და სურნელოვანი იღლიები მახსენდებოდა. ალბათ მიყვარდა.

დაახლოებით 2 წელი გავატარე ამ გაუსაძლის ყოფაში. იმ დღეს კი, როცა საცემრად არავინ შემომივარდა, ცოტათი გულიც კი დამწყდა. ამ ორი წლის მანძილზე კი, პოლკოვნიკი ტვარდოვსკი, ცოტა უფრო სერიოზულად მოჰკიდებოდა საქმეს. დასაკუთრებულ ტერიტორიებს აღარ თმობდა. სამხედრო ბაზებს აშენებდა, მისთვის მოსაწონ შენობებს დგამდა, იქაურებს იმონებდა და თავის ხალხს გზავნიდა საცხოვრებლად.

ოცდამერვე

მეზიზღებოდა პოლკოვნიკი ტვარდოვსკი. მაშინ უფრო მიმძაფრდებოდა ეს ზიზღი, როცა კეტის რტყმისგან დაპობილ სახეს ვითვალიერებდი სარკეში; მაშინაც, როცა შოლტის რტყმისა და ზედ მარილის მოპნევისგან დაღარულ ზურგს ვისინჯავდი ხელით; მაშინ უფრო, როცა საკნის ერთი ბოლოდან მეორეში, კოჭლობით ძლივს მივდიოდი. ყველაფერს მივცემდი ტვარდოვსკისთვის თუნდაც ერთხელ შეფურთხებისთვის. არადა ის არასოდეს მყავდა ნანახი. მარტო მე კი არა, საერთოდ ბევრს არავის ჰყავდა ნანახი. იმ ოცკაციანი გუნდის გარდა, რომლებიც უშუალოდ მისგან იღებდა დავალებას და რომლის წევრებიც საეჭვოდ ხშირად იცვლებოდნენ. პრესა კი მათი გაუჩინარებისთანავე იუწყებოდა, რომ პოლკოვნიკმა ისინი მივლინებით გაგზავნა. სავარაუდოდ მოუსავლეთში.

გავიდა კიდევ რამდენიმე კვირა. მე ოდნავ უკეთეს საკანში გადამიყვანეს, სადაც ლოგინიც კი იყო. საჭმელს სურვილისამებრ ვირჩევდი. სასმელს კი მხოლოდ უალკოჰოლოს. ნებისმიერი მათრობელა სითხეც კი, ბადრაგის კეტზე მეტად მეზიზღებოდა. ჩემი საოცარი დაკვირვებულობის ხარჯზე ვამჩნევდი, რომ სიტუაცია საეჭვოდ ბრუნდებოდა უკეთესობისკენ. ყველაზე მეტად მაშინ გავოცდი, როცა ვიღაც სანდომიანი კაცი მეწვია და მკითხა, - ერთ ნებისმიერ სურვილს შეგისრულებთ და რას ინებებთო.

- ვერა, - ვიკივლე მე - ვერა მომიყვანეთ!

ეს კაცი გამესაუბრა. გამომკითხა - ვინ არის ვერა, როგორ ვიპოვოთო. მერე კი აღმითქვა, თუ ცოცხალია აუცილებლად მოგიყვანთო. ზუსტად სამ დღეში მომგვარეს ვერა. ოთახში შემოსვლისთანავე ვეცი, გულში ჩავიკარი და დაუმიზნებლად დავუწყე კოცნა. ხარბად ვისრუტავდი იმ სუნს, რომელიც ჩვენი ბოლო შეხვედრის მერე, ოდნავადაც არ დამვიწყებოდა. ვერაც ამყვა ხელჩართულ ხვევნა-კოცნაში. ერთი მოძრაობით გაიხადა ტანზე და დასახიჩრებულ სხეულზე მომეკრო. გარდა იმისა რომ, გადამეტებულ კმაყოფილებას ვგრძნობდი, რატომღაც კიდევ უფრო მეტად მევსებოდა გული პოლკოვნიკისადმი ზიზღით.

ამ საშინელი 2 წლის მანძილზე, არ მქონია დრო საფიქრალად. ახლა კი, როცა დრო თავზე საყრელად მქონდა, უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი ერთ აზრში - პოლკოვნიკი ტვარდოვსკი უნდა მომეკლა.

* * *

გაილია 27 წელი. იწყებოდა 28-ე, რომელსაც პრესა „მშვოდობის წლად“ მოიხსენიებდა. „პოლკოვნიკის 28-ე მშვიდობის ჯარისკაცი“ - მსგავსი სათურებით აჭრელდა ყველაფერი, რაზეც კი რამის დაწერა შეიძლებოდა. ჩვენი ქვეყანა 27 თანაბარ და 1 მოზრდილ ნაწილად დაყვეს. 27-ვე თანაბარ ნაწილში იდგა პოლკოვნიკის არმიის რომელიმე დაღუპული, ან სულაც გამოგონილი ჯარისკაცის ძეგლი. 27-ვე ქალაქს, იმ 1 მოზრდილის გარდა, დაერქვა ამ ჯარისკაცების სახელები. 28-ეს კი ჯერ არც ძეგლი ჰქონდა და არც სახელი.

ადგილობრივები ჩამოსახლებულებმა დაიმონეს. იმის გამო რომ, მონების ერთმანეთისგან გარჩევა შეუძლებელი იყო, ისინი დანომრეს. დანომვრა რიცხვ 29-დან იწყებოდა,

რადგან 28-მდე ყველა რიცხვი წმინდად შერაცხეს. ქალაქები გალამაზდა, აშენდა. მე კი მაინც პოლკოვნიკ ტვარდოვსკის მოკვლაზე ვოცნებობდი.

ერთ დღესაც, ვერასთან ყოველკვირეული შეხვედრის შემდეგ, უცნაური წერილი შემომიტანეს. ვერას ღირსშესანიშნაობებით ტკბობისგან გაბრუებული ცოტათი დავიბენი. მაგრამ მალევე გამომაფხიზლა წერილზე დატანებულმა პოლკოვნიკ ტვარდოვსკის ხელმოწერამ. წერილიც მის მიერვე იყო შედგენილი და იუწყებოდა, რომ ის ტანჯვა-წამება, რაც მე გამოვიარე, მხოლოდ და მხოლოდ ჩემ სასიკეთოდ იყო მოვლენილი. მე უნდა დავმდგარიყავი ისეთი ლიდერი, რომელიც შესაფერისი იქნებოდა მომავალი თანამდებობისთვის. ყველაფერი თურმე იქიდან დაიწყო, რომ 27 წლის წინ, ტვარდოვსკის ვიღაც მდაბიო ქალისგან ეყოლა შვილი, რომელსაც დიდ ხანს ვეღარსად მიაგნო. თან ეს ყველაფერი ჩვენს ერთფეროვან ქვეყანაში მოხდა. ტვარდოვსკის არც მანამდე და არც მის მერე, არ ჰყოლია არც ერთი პირმშო. გაიგო რა, პოლკოვნიკმა ტვარდოვსკიმ ამის შესახებ, დაიწყო მისი ძებნა. აჩანაგებდა ქვეყანას, რომელშიც შვილი ეგულებოდა. მოსვენებას არ აძლევდა ის აზრი, რომ იგი უსაქმური, სხვებისაგან დაჩაგრული, ვინმეს მონა ან რაიმე მსგავსი შეიძლებოდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა რომ, გარეგნულად იგი სხვებისგან განსხვავებული იყო, მაინც ვერსად პოულობდა მას. მან გადაწყვიტა ხალხი, რომელიც მის პირმშოს ასე ექცეოდა, დაესაჯა. მხოლოდ 25 წლის მერეღა მიაგნო თავის მონაგარს, 2 წელი კი მის გამოსწორებას და დაპყრობილი ქვეყნის აშენებას მოანდომა. ახლა კი მისი გამოსწორებული და რაც მთავარია გაბოროტებული შვილი, მზად იყო მოერგო „მშვიდობის 28-ე ჯარისკაცის წოდება“. მერე კი სამაგიერო მიეზღო იმ ხალხისთვის, ვინც ამდენი ხნის მანძილზე სტანჯავდა. „შენ დღეიდან იქნები პიოტრ სიტლარსკი. არავის ეცოდინება, რომ შვილი ხარ ჩემი. დაგიმახსოვრებენ, როგორც მშვიდობის 28-ე ჯარისკაცს. შენ კი იქნები დაუნდობელი ყველას მიმართ.“ - ზუსტად ასე მთავრდებოდა ჩემი საყვარელი მამის წერილი. მოულოდნელად ვიგრძენი, როგორ გადაძალა ზიზღი და ბოროტება, აღტაცებამ და ანგარებიანმა სიყვარულმა ჩემში. იმ დღესვე გამომიყვანეს გარეთ. ხუთი მშვენიერი ქალი დამახვიეს თავზე. დამბანეს, სურნელოვანი ზეთით დამზილეს, კიდევ ბევრი რამით მასიამოვნეს და ლამაზად გამომაწყვეს.

მერე წამიყვანეს ჩემს სამეფოში. სადაც 28-ე, ყველაზე დიდ ქალაქში, ჩემი უზარმაზარი ძეგლი იდგა. მას ოქროსფრად ეწერა - „მშვიდობის XXVIII ჯარისკაცი“. არაფრით ჰგავდა მისი მეფური პირისსახე ჩემს დაჯღანულსა და დაჩორკნილს. ჩემი სასახლეც იქვე იდგა, მთავარ მოედანზე. ხალხი ხელს მიქნევდა და მიჩოქებდა. მონები დამტრიალებდნენ თავს. პოლკოვნიკი ტვარდოვსკი მიყვარდა.

* * *

ვერა მას მერე აღარც მინახავს. ერთი-ორჯერ კი მოვკარი თვალი მის ნამტირალევ სახეს სასახლის წინ. თუმცა რაღა დროს ვერაა. ის ხომ ჩემი ახალგაზრდობის გატაცება იყო, რომელიც თურმე, გარეგნობაში მცირე სხვაობის მიუხედავად, არაფრით განსხვავდებოდა იმ მდაბიოთაგან. ჩემი ცხოვრება დაიწყო დაბადებიდან 28-ე წელს. მე მუსრი გავავლე ერთნაირი ხალხის სასირცხვილო მასას. ახალ თაობას მოვუტანე მშვიდობა და საყოველთაო ბედნიერება. გაზეთის ფურცლებზე ჩემი სურათებია დატანებული. ტელევიზია მუშაობას ჩემით იწყებს და ჩემითვე ამთავრებს. ჩემს ძეგლს ამკობენ თაიგულებით, მიმღერიან

ნორჩი გოგონების გუნდები, 28-ვე ქალაქის, თითოეული მოსახლის ბედი ჩემს ხელთაა. ეს ასეც უნდა იყოს. მე ხომ დავამარცხე უსახო ხალხის ბოროტება. მე ხომ მშვიდობის 28-ე ჯარისკაცი ვარ!